კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	**ეკონომიკა (Economics)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	**ეკონომიკის მაგისტრი- MA in Economics**
ფაკულტეტის დასახელება	**ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	**აკაკი ბაკურაძე** - ეკონომიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
პროგრამის ხანგრძლივობა/ მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა- 2 სასწავლო წელი, 4სემესტრი.კრედიტების რაოდენობა - 120 ECTSკრედიტი, მათ შორის: • სავალდებულო კურსები- 105 ECTS კრედიტი, • თავისუფალიკრედიტები - 15ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	№ 249, 26.07.2012

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა და მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე პირი, რომელიც ჩააბარება საერთო სამაგისტრო გამოცდას და პროგრამაზე მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობაში.

პროგრამის მიზნები

- მისცეს სტუდენტს ეკონომიკური საქმიანობის სფეროებში კანონებისა და კატეგორიების სისტემური და სიღრმისეული თეორიული ცოდნა;

-დაგროვილი თეორიული ცოდნისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკული უნარჩვევებით მიუახლოვდეს საერთაშორისო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

- უზრუნველყოს, ეკონომიკური კანონზომიერებების შემეცნების საფუძველზე, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზისა და კონკრეტული პრობლემური საკითხების პრაქტიკაში გადაწყვეტის უნარ-ჩვევების განვითარება;

- შეასწავლოს სტუდენტს თანამედროვე ეკონომიკური კონცეფციები, სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების პროგნოზირება, ეკონომიკური რისკებისა და უსაფრთხოების დაცვის პრინციპები;

- ჩამოუყალიბოს სტუდენტს ეკონომიკური აზროვნებისა და საქმიანობის ეფექტიანი წარმოების პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

- მიღებული თეორიული ცოდნის, კვლევითი გამოცდილებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძვლზე, გახადოს სტუდენტი კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე;

- გაუღვივოს სტუდენტს კვალიფიკაციისა და აკადემიური დონის შემდგომი ამაღლების სურვილი და უზრუნველყოს სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა მომდევნო საფეხურზე (დოქტორანტურაში).

სწავლისშედეგები (ზოგადიდადარგობრივიკომპეტენციები)
(სწავლის შედეგების რუქა ახლავს, იხ. დანართი 2)

ცოდნა და გაცნობიერება	პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს შეეძლებათ: 1.1. განსაზღვრონ ცვალებად და მულტიდისციპლინურ გარემოში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური პროცესები და რაციონალურ გადაწყვეტილებათა ალტერნატივების შემუშავების მეთოდები; 1.2. შეარჩიონ მიკრო და მაკრო ეკონომიკურ გარემოში საქმიანობის თანამდე საფრთხეების (მათ შორის, სოციალური) იდენტიფიცირებისა და შეფასების; რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების; შიდა და გარე ფაქტორების გავლენის მართვის მეთოდები.
უნარები	2.1. შეაფასონ, გადაჭრან და შესაბამისი დასკვნები ჩამოაყალიბონ მიკრო და მაკრო ეკონომიკურ გარემოში საქმიანობაში არსებული პრობლემების გადაწყვეტის შესახებ უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; 2.2. ადაპტირება ცვალებად და მულტიდისციპლინურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი და საქმიანობის დამოუკიდებლად წარმოება ახალი ინოვაციური და სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით; 2.3. წარადგინონ კვლევის შედეგების თემატური და სრული ანგარიში როგორც აკადემიური, ისე ჩართული მხარეებისთვის ან/და სუბიექტებისთვის.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	3.1. ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის ფუნდამენტური ცოდნის ტრანსფორმირება პრაქტიკაში, კარიერული წინსვლისა და შემდგომში კვლევითი საქმიანობის წარმართვის მიზნით, ცოდნის მუდმივი გაღრმავება. 3.2. სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე პროცესების დამოუკიდებლად შესწავლა, პრობლემების იდენტიფიცირება და გადაწყვეტის რეკომენდაციების შემუშავება-გაწევა აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით.

სწავლების მეთოდები

სწავლის ფორმები - ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, მიზნობრივი წერითი ნაშრომი, პროექტი, კონსულტაცია და პროფესიული პრაქტიკა, საკონფერენციო და სამაგისტრო ნაშრომები და სხვა.
სწავლის მეთოდები - დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL),ევრისტიკული, შემთხვევების შესწავლა(ქეისები), გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდები, პრაქტიკული, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, ელექტრონული სწავლების დასწრებული ფორმა.

- სწავლის სასურველი შედეგის მიღწევის პროცესის მართვისათვის შესაძლებელია სტუდენტმა დამატებით მიმართოს პედაგოგს (საკონსულტაციო დრო მითითებულია ცალკეული კურსის სილაბუსში).

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის მთლიანი მოცულობა -120კრედიტია, მათ შორის:

1. **სავალდებულო კურსები - 105 კრედიტი;**
2. **თავისუფალი კურსები -15 კრედიტი** (სასწავლო გეგმა - იხ.დანართი 1).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

- **სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში *(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)*- 30 ქულა;**
- **შუალედური გამოცდა- 30 ქულა;**
- **დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.**

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:
ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (**C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
- თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შენიშვნა: შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით:
საფუძველი: საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3.

დასაქმების სფეროები

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა დონის ეკონომიკური პროფილის სამსახურებში (საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების; ეკონომიკის განვითარებისა; ადგილობრივი ქონების მართვის; საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების; ინფრასტრუქტურის განვითარების; კეთილმოწყობის და სხვა სამსახურები); კერძო სექტორის სამრეწველო სავაჭრო და სხვა პროფილის საწარმოები (ანალიტიკური და საგარეო ურთიერთობათა სამსახურები)

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელიადამიანური რესურსები: პროგრამას ემსახურება სხვადასხვა აკადემიური პერსონალი, მათ შორის პროფესორი -2, ასოცირებული პროფესორი-7, მოწვეული -1

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები: ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-სსასწავლო კორპუსები,კეთილმოწყობილიაუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები;დეპარტამენტშიარსებული სალიტერატუროფონდი, უნივერსიტეტისკომპიუტერულიცენტრის აუდიტორიები, ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთანარსებული „პროფესიულიწვრთნის,გადამზადებისადაუწყვეტიეკონომიკურიგანათლების“სასწავლოცენტრი.

დანართი 1.

სასწავლო გეგმა 2020-2022
პროგრამის დასახელება: ეკონომიკა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის მაგისტრი

№	კურსის დასახელება	კრ[1]	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პრ/ლაბ/გ	სემესტრი				წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	
				ლ.ჯგ.	გამ							
I. სავალდებულო კურსები												
I.1	ეკონომიკური პოლიტიკა 1	5	125	45	4	76	2/1/0/3	x				
I.2	მიკრო ეკონომიკა (მაღალი დონე)	5	125	45	4	76	1/2/0/3	x				
I.3	მაკრო ეკონომიკა (მაღალი დონე)	5	125	45	4	76	2/1/0/3	x				
I.4	რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა	5	125	45	4	76	2/1/0/3	x				
I.5	სოციოლოგიური კვლევები	5	125	45	4	76	1/2/0/3	x				
I.6	მეტაეკონომიკა (ეკონომიკის ფილოსოფია)	5	125	45	4	76	2/1/0/3		x			
I.7	ეკონომიკური პოლიტიკა 2	5	125	45	4	76	2/1/0/3		x			I.1
I.8	ეკონომიკური დემოგრაფია	5	125	45	4	76	2/1/0/3		x			
I.9	სოციალური ეკონომიკა	5	125	45	4	76	2/1/0/3		x			
I.10	რისკები და ეკონომიკური უსაფრთხოება	5	125	45	4	76	2/1/0/3		x			
I.11	ეკონომიკური პროგნიზირება	5	125	45	4	76	1/2/0/3			x		
I.12	თანამედროვე ეკონომიკური კონცეფციები	5	125	45	4	76	2/1/0/3			x		
I.13	რეგიონული მმართველობა და დეცენტრალიზაცია	5	125	45	4	76	2/1/0/3			x		I.4
I.14	პროფესიული პრაქტიკა	10	250	90	1	159	0/6/0/3			x		
I.15	სამაგისტრო ნაშრომი	30	750	47	1	702					x	1.7; 1.11; 1.14
	სულ	**105**	**2625**	**731**		**1894**	**-**					
II. არჩევითი კურსები[2]												

[1] გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: **კრ**. - კრედიტი, **საკ** - საკონტაქტო, **დამ** - დამოუკიდებელი მუშაობა, **გამ** - გამოცდა; **ლ/პ/ლაბ/გ** - ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობა/ლაბორატორიული მუშაობა/ გამოცდა

[2] სტუდენტი ვალდებულია აითვისოს აწსუ-ს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ნებისმიერი სასწავლო კურსი შესაბამის სემესტრში.

II.1	თავისუფალი კრედიტი 1[3]	5	125					x				
II.2	თავისუფალი კრედიტი 2	5	125						x			
	არჩევითი სასწავლო კურსები											
II.3.1	გეოეკონომიკა	5	125	45	4		2/1/0/3			x		
II.3.2	თეოლოგიური ეკონომიკის საფუძვლები	5	125	45	4		1/2/0/3			x		
	სულ	**15**	**375**					5	5	5		
სულ, პროგრამით		**120**	**3000**					30	30	30	30	

[3]თავისუფალი კრედიტის ფარგლებში სტუდენტს აქვს უფლება საუნივერსიტეტო სამაგისტრო პროგრამებიდან აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი და აითვისოს.